MES 8 22 0000983775

01/09/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შენგელია – ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი
კახაბერ ფარცვანია - სკოლის წარმომადგენელი

შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალ პროფილიანი საშუალო სკოლა ივერია
ნინო გერგიძე-რიჟამაძე - სკოლის დირექტორი

სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია
გულნარა ბარაბაძე - სკოლის დირექტორი

შპს ლაშარი
ჯენერი არქანია- სკოლის დირექტორი

შპს აისი
სესილი ქადარია – სკოლის დირექტორი

შპს თბილისის არქიმედეს სკოლა
ირაკლი მანელიძე – სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ნადარეიშვილი

შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერია“
მაკა ჭიაბერაშვილი
თამარ მიდელაშვილი

სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია
დავით ლიპარტელიანი
ლია გრიგოლია

შპს ლაშარი
ხათუნა ბარაბაძე
ვერა ყურულაშვილი

შპს აისი
ქეთევან ბაცანკალაშვილი
თეონა ყაჭეიშვილი

შპს თბილისის არქიმედეს სკოლა

ნანა მონიავა
ირმა ხუციშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 10 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერია“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ლაშარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს აისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა. ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 14 და 15 ივლისს, ქალაქ ზუგდიდში. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა ხარვეზები და არ გაცემულა რეკომენდაციები. შეფასების ფარგლებში გამოვლენილ სკოლის წარმატებულ პრაქტიკასთან მიმართებით, ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული იყო ინფორმაცია დაწესებულებაში გამართული კონფერენციის შესახებ, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნების ნაშრომები. ნაშრომების წარდგენის შემდეგ გაიმართა დისკუსია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონფერენციას ესწრებოდნენ მშობლები, მასწავლებლები, სხვადასხვა სკოლის დირექტორები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგნობრივი ექსპერტ-კონსულტანტები და ახალი სკოლის მოდელის კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების ექსპერტები. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ასევე, ჰქონდა მასწავლებლების პროექტი, რომელიც გულისხმობდა პანდემიის პერიოდში მოსწავლეებისთვის შექმნილ ვიდეო ამბებს- „ზღაპარი, ამბავი თქვენ“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოყვა. მასწავლებლებთან ერთად პროექტში მონაწილეობა მიიღეს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმაც.
ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისიით გაცხადებულ მიზნებს ემსახურებოდა ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად. მისივე განმარტებით, სკოლა ასევე, ახორციელებდა ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას მე-9-მე-11 კლასებში.
ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 1 სსსმ მოსწავლე და აღნიშნული მოსწავლისთვის მასწავლებლებს შემუშავებული ჰქონდათ დიფერენცირებული და საჭიროებას მორგებული აქტივობები.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, შეფასების წესი სრულ შესაბამისობაში მოდიოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ექსპერტის თქმით, მასწავლებლებს შემუშავებული ჰქონდათ შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკები. ექსპერტის განმარტებით, შემაჯამებელი დავალებების შემოწმებისას დადგინდა, რომ მოსწავლეები ფასდებოდნენ სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით- ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტების ჩატარება და ა.შ. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, მოსწავლეთა შეფასების საფუძველზე სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს დგებოდა საგნობრივი დინამიკა და მისი ანალიზის შედეგი გამოიყენებოდა მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მათი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ შექმნილ კითხვარებს, რომლებიც განკუთვნილი იყო მშობლებისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის. ექსპერტის განმარტებით, სასწავლო გეგმის გაუმჯობესების სტრატეგიები შემუშავებული იყო მონიტორინგის ჯგუფისა და კათედრის მიერ, რაც განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რის შემდეგაც შედგა SWOT ანალიზი და ანალიზის შესაბამისად, შემუშავდა 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს მიმდინარეობდა 2022-2023 სასკოლო სასწავლო წლის გეგმის პროექტზე მუშაობა.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლაში იყო 13 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სათანადო ინვენტარით. მისივე თქმით, სკოლაში იყო 180 ინდივიდუალური მერხი, 190 სკამი და შესაბამისი დაფები. კოლეჯის ეზოში განთავსებული იყო პატარა სპორტული მოედანი და ოც

მეტრში იყო მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი მინი სტადიონი, რომელიც აშენდა კოლეჯში არსებული სამოქალაქო კლუბის წევრების ინიციატივით. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება სტადიონს იყენებდა სპორტული გაკვეთილების ჩასატარებლად.
ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ლაბორატორია, რომელიც მოწყობილი იყო შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული იყო როგორც ქართული, ასევე, ფრანგული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში ასევე, იყო დამხმარე ლიტერატურა მასწავლებლებისთვის. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში შემუშავებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმები. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული იყო კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების და ბუნებრივ კატასტროფების რისკის შემცირების ტრენინგი. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო ახლად დამუხტული ცეცხლმაქრები და ორივე სართულზე გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები. დაწესებულებას ასევე, ჰქონდა სამედიცინო კაბინეტი, ჰყავდა ექთანი და საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი ექიმის თანამდებობაზე.
ექსპერტის თქმით, სკოლაში დაცული იყო პერსონალისა და მოსწავლეთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, სკოლას შემუშავებული ჰქონდა დოკუმენტი - „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის მიერ და შეთანხმებული იყო განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შიდა და გრე პერიმეტრი კონტროლდებოდა ვიდეო კამერებით. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დაწესებულებაში დასაქმებული იყო 35 ადამიანი, აქედან - 22 საგნობრივი პედაგოგი, 2- მასწავლებლის ასისტენტი. მათგან 20- უფროსი, 1 წამყვანი, ხოლო 1 მათგანი დარეგისტრირებული იყო სტატუსის მოსაპოვებლად გამოცდაზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა წარმატებით ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაცია Edulinks-ის ინიციატივაში მდგრადი კავშირების დამყარება განათლების საშუალებით, პროექტის მიზანი იყო ურთიერთგაგების, ნდობის მექანიზმების შექნით ხელი შეეწყოთ შერიგებასა და სამშვიდობო პროცესს გალელ, ოჩამჩირელ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პედაგოგებს შორის. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მასწავლებლებს ჩაუტარდათ რამდენიმე შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ განათლების ექსპერტები.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა დააჯილდოვა 12 წარმატებული მოსწავლე, რომელთაგან 2 შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის წარმომადგენელი იყო.
ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ არჩეული პროფილით, დაწესებულებას ჰყავდა ფრანგულ ენაში წარმატებული ბევრი მოსწავლე და მასწავლებელი.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს. მისი თქმით, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო დებულება, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო განათლების კლუბის მიზნებს წარმოადგენდა თემში არსებული საჭიროებების გამოვლენა, თემში მიმდინარე ინტერვეციების დაგეგმვა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებით. ის დაინტერესდა, თუ რა ტიპის საჭიროებები გამოიკვლია სკოლამ ამ მიმართულებით და რა სახის ღონისძიებები დაიგეგმა ცნობიერების ასამაღლებლად საზოგადოებაში.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამოქალაქო განათლების კლუბი ბევრს მუშაობდა ოჯახურ და ბავშვთა მიმართ ძალადობაზე. ასევე, კლუბის ინიციატივით გაფორმდა მემორანდუმი სკაუტებთან და კლუბი ეხმარებოდა მიუსაფარ მოხუცებს და ატარებდა საზღვრის პირა, სოფელ რუისში მოხუცთა სახლის საჭიროებების კვლევებს.
დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რას აკეთებდა სკოლა იმისთვის, რომ რეგიონში და ქალაქში პოპულარიზაცია გაეწია ფრანგული კულტურისა და ენისთვის.

სკოლის წარმომადგენელის, კახაბერ ფარცვანიას თქმით, ისტორიულად დადიანები სრულად იყვნენ დაკავშირებული საფრანგეთთან და ეს ისტორიული ფაქტი დაწესებულებას ეხმარებოდა ფრანგული ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში. კახაბერ ფარცვანიას განმარტებით, სკოლა თანამშრომლობდა ზუგდიდის მუზეუმთან და მასთან ერთად გეგმავდა სხვადასხვა აქტივობას. მისი თქმით, სკოლა აქტიურად უწევდა პოპულარიზაციას ფრანგულ ენას, როგორც ქალაქში ასევე, რეგიონშიც. სკოლის წარმომადგენლმა აღნიშნა ის ფაქტიც, რომ საფრანგეთის სახელმწიფომ სკოლის რამდენიმე წარმომადგენელი დააჯილდოვა ორდენით ფრანგული ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის.
საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს სკოლის მისიაში გამოყოფილი ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბების შესახებ, თუ რა აქტივობებს ატარებდა დაწესებულება ამ მიმართულებით.
სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კლუბი „ეკო-ვივღ“, სადაც ახორციელებდნენ პროექტებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცისთვის. სკოლას ჰქონდა სათბური, სადაც პანდემიამდე მოსწავლეებს მოჰყავდათ ჯანსაღი ბოსტნეული, მათ ასევე ჰქონდათ ახლად გაკეთებული ველო სადგომი. მან აღნიშნა, რომ ბიოლოგიისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კლუბურ აქტივობებში.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმოამდგენელს, ამჟამად ფუნქციონირებდა თუ არა სათბური.
სკოლის წარმომადგენელმა, კახაბერ ფარცვანიამ უპასუხა, რომ სკოლას ამჟამად ჰქონდა სათბურის კარკასი, თუმცა სათბური პანდემიის პერიოდიდან აღარ ფუნქციონირებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 180 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯს (ს/კ:220348657) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერია“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა და თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 29 და 30 ივნისს. მისი განმარტებით, სკოლის მისია შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ექსპერტის განცხადებით, სკოლის სტრუქტურაში ჩაშენებული იყო დამატებითი სააღმზრდელო მომსახურება და ფუნქციონირებდა წარმატებით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ჭადრაკს, აერობიკას, აღმოსავლურ ორთაბრძოლებს. მან აღნიშნა, რომ სკოლა პრიორიტეტს ანიჭებდა უცხოური ენების სწავლებას. ინგლისური ენა ისწავლებოდა 1-12 კლასებში, ხოლო რუსული ენა მე-2-მე-12- კლასებში და ასევე, არჩევით საგნად ისწავლებოდა გერმანული ენა მე-7- მე-12 კლასებში.

ექსპერტის განმარტებით, მათ გასცეს რეკომენდაცია პირველ სტანდარტთან მიმართებით. სკოლაში შემცირებული იყო მუსიკისა და სპორტის საათები და მათ არ ჰქონდათ შეთანხმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ ახალი სასკოლო გეგმის პროექტში გაითვალისწინა აღნიშნული და დაწესებულება ემზადებოდა საათობრივი ცვლილების შესათანხმებლად.

ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო განსაზღვრული სემესტრული, ექსტერნი და წლიური გამოცდის ჩატარების წესი. სკოლის დებულებაში (მუხლი18.8) დაფიქსირებული, იყო შემდეგი - „შიდასასკოლო გადასაყვანი და მისაღები გამოცდების ფორმას, შინაარსს, საგამოცდო დისციპლინებსა და გამოცდების ჩატარების ვადებს განსაზღვრავს პედაგოგიური საბჭო. არ არის განსაზღვრული რომელ პედაგოგიურ საბჭოზე ხდება აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მოსწავლეთათვის გაცნობა.“ ამასთან, ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ დებულებაში (მუხლი18.11) აღნიშნული იყო შემდეგი ჩანაწერიც: „საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის VII,VIII,IX კლასებში წესდება გადასაყვანი გამოცდები მოსწავლეთათვის, 2 საგამოცდო საგნის თავისუფლად არჩევის უფლების მინიჭებით.“ სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში ემოქმედა ესგ - ს 36-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლა ითვალისწინებდა აღნიშნულ რეკოენდაციას და მათი განმარტებით, სასკოლო გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში დაცული იქნებოდა 36-ე მუხლის მოთხოვნები, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა კორექტირებული დოკუმენტაცია.

ექსპერტის განმარტებით, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა #20-ში. სკოლის საერთო ფართი იყო 966,75 მ², რომელიც აღებული იყო იჯარის წესით, 2034 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნულ ფართში სკოლას დაკავებული ჰქონდა მეორე, მესამე და მეოთხე სართულები, პირველ სართულზე იყო მცირე ზომის შესასვლელი და კიბის უჯრედი.

სკოლაში იყო 14 საკლასო ოთახი და კარგად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, ერთ სივრცეში განთავსებული იყო ისტის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლას ერთმანეთისგან გაემიჯნა ბიბლიოთეკისა და ისტის სივრცეები. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის დატვირთვა ხდებოდა სასწავლო საათების შემდეგ. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ განაცხადა, რომ უკვე ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები ბიბლიოთეკისა და ისტის სივრცეების გასამიჯნად.

ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია, რათა საპირფარეშოში არსებული პირადი სივრცეები ყოფილიყო იზოლირებული კარით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას განმარტა, რომ გამოასწორებდა აღნიშნულ ხარვეზს.

ექსპერტის განმარტებით, გამომდინარე იქიდან , რომ სკოლა გადასული იყო ახალ შენობაში და მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, სკოლაში არ იყო გათბობის სისტემა. სწავლის პროცესში გათბობა ხდებოდა ელექტრო ღუმელებით. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით და დაწესებულებამ განაცხადა, რომ 1 ნოემბრამდე მოგვარდებოდა ეს პრობლემა.

ექსპერტის განცხადებით, კამერების მონიტორინგი ხდებოდა ადმინისტრაციის ოთახში და იზოლირებული არ იყო გარე პირებისგან. ეს საკითხი დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე მოაგვარა და მოხდა მონიტორინგის სივრცის იზოლირება.

ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, სკოლას დაუფიქსირდა ხარვეზი. სკოლაში არ იყო საევაკუაციო კიბე ან გასასვლელი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ევაკუაცია. სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი სივრცე საევაკუაციო გასასვლელებისთვის. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაეგზავნა მოთხოვნა, რათა შესაბამისი სამსახური ჩართულიყო მოკვლევაში და მომხდარიყო საკითხის უზრუნველყოფა. არგუმენტირებული პოზიციაში დაწესებულებამ ასახა ინფორმაცია, რომ სკოლამ გააგზავნა წერილი შსს-ში და მიიღო პასუხი, რომ შესაბამისი სამსახური მივიდოდა დაწესებულებაში საკითხის შესასწავლად.

ექსპერტის განმარტებით, მეორე ხარვეზად ჩაითვალა სათვალთვალო კამერები. დერეფნებში კამერები ფარავდა ყველა სივრცეს გარდა კიბის უჯრედებისა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან, რომელიც პასუხისმგებლობას იღებდა დაწესებულების შესაბამისი ინვენტარით სრულად მოწყობაზე.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში იყო 33 მასწავლებელი, მათგან 21- უფროსი, 1 -წამყავნი, 11 მოწვეული. მათი ხელშეკრულებები შესაბამისობაში იყო კანონთან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. ექსპერტის განმარტებით, ხელშეკრულებაში ფიქსირდებოდა ხარვეზები ნასამართლობის ცნობებთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულებამ სააგენტოში გააგზავნა განცხადებები და წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ფიქსირდებოდა 130 მოსწავლე, სკოლაში იყო მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო. სკოლას შემუშავებული ჰქონდა თანამშრომლების შერჩევის, მიღების, გათვალისუფლებისა და წახალისების გამჭირვალე მექანიზმები. სკოლაში არ ფიქსირდებოდა ხშირი საკადრო ცვლილებები. ექსპერტ მაკა ჭიაბერაშვილის განმარტებით, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას ჰქონდა სასკოლო დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ბაზა. მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, დაწესებულებას დოკუმენტაციაში აღნიშნული ბაზა არ ჰქონდა შესაბამისად ასახული, მისივე თქმით, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტი დაწესებულებამ უფრო მეტად დახვეწა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო მაღალი თანამშრომლობითი გარემო.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა შემაჯამებელი დავალებების შესახებ აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებები მოცემული იყო ტესტების სახით, ხოლო სადისკუსიო თემები იყო ფართო და არარელევანტური, რაც შეუსაბამობაში მოდიოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა რჩევა გასცეს ამასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის განმარტებით, დაწესებულებამ მოცემულ ეტაპზე ცდილობდა ფეხი აეწყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმისთვის. მაკა ჭიაბერაშვილის განმარტებით, სკოლას შეეძლო შესაბამისობაში მოეყვანა პროგრამული ნაწილი. ექსპერტის განცხადებით, სკოლას მისცეს რეკომენდაციები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებითაც. ექსპერტის თქმით, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა პედაგოგთა მაღალი კვალიფიკაციაც.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ მათემატიკის შემაჯამებელ კომპლექსური დავალებები მე-11 კლასში, არ შეესაბამებოდა საგნობრივ სტანდარტს. მან რეკომენდაციის სახით ურჩია დაწესებულებას, რომ დაეკმაყოფილებინა საგნობრივი სტანდარტი.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ აღნიშნა, რომ საგნობრივ სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებას პრობლემა ჰქონდა საბუნებისმეტყველო საგნებშიც.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევებით ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბავშვების ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას. ჰქონდა თუ არა ექსპერტებს საშუალება გასაუბრებოდა მშობლებს და ბავშვებს ამ საკითთან დაკავშირებით და იყო თუ არა რამე სახის საჩივარი სკოლაში შესული. ექსპერტის განცხადებით, მათ არ დაუსვამთ კითხები მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურობის შესახებ ინტერვიუების დროს მშობლებისა და მოსწავლეებისთვის, თუმცა სკოლის წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნებოდა სრული მზაობა საპირფარეშოს შესაბამისობაში მოსაყვანად.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დღევანდელი მდგომარეობით, რა ცვლილებები განხორციელდა მოსწავლეთა უსაფრთხოების მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, იყო თუ არა შენობის პირველ სართულზე სხვა დაწესებულება და მას ასევე აინტერესებდა, ავტორიზაციის შემთვევაში ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ადგილი საქვაბის უსაფრთხოდ დასამონტაჟებლად.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობდა საპირფარეშოებში იზოლირებული კაბინების მოწყობაზე, მას აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უკვე გადმოგზავნილი ჰქონდა ცენტრში. კიბის უჯრედებში დაემატა ვიდეო კამერები. სკოლას მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე ჰქონდა გათობისა და გაგრილების სისტემები. დაწესებულება ამჟამად კომპეტენტური პირისგან ელოდებოდა პასუხს, თუ როგორ ჯობდა შენობაში გათბობის მილების დაყენება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი სკოლის მოდელში სკოლა ივერია ჩაერთო მიმდინარე წლის აპრილის თვეში. მისივე განმარტებით, სკოლის შესასვლელი იყო იზოლირებული და უცხო პირი ვერ შედიოდა შენობაში. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ბავშვების უსაფრთხოების საკითხი შესაბამისობაში იყო დადგენილ მოთხოვნებთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობდა საქვაბე სისტემის მოწყობა. მან აღნიშნა, რომ ამჟამად ასევე, მიმდინარეობდა საევაკუაციო გასასვლელებზე მუშაობა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა რეკომენდაციის სახით მიმართა სკოლას, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, დაწესებულებას შენობაში არ მოეწყო საქვაბე ოთახი.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას შენობის უკანაც ჰქონდა სივრცე, სადაც შეძლებდა საქვაბის მოწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 270 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიან საშუალო სკოლა ,,ივერია"-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 270 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიან საშუალო სკოლა ,,ივერია"-ს (ს/კ:206078965) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული და საბჭოს სხდომის ზეპირ განხილვაზე განხილული ყველა შინაარსობრივი საკითხის გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაცია. ასევე, საპირფარეშოებში ჩატარებული სამუშაოების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ხოლო, მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე სკოლას ცენტრში უნდა წარმოედგინა მატერიალურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინების დამატასტურებელი ინფორმაცია და თანდართული მტკიცებულებები, მათ შორის, გათბობისა და საევაკუაციო გასასვლელების შესაბამისობაში მოყვანის დამადასტურებელი მასალები.

3. სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა დავით ლიპარტელიანმა და ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ სკოლა ჩართული იყო მეწარმეობის კუთხით „Junior Achivment"-ის პროგრამაში. ექსპერტის განცხადებით, სკოლა აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონკურსებში და თავადაც აწყობდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლის გადასახადი იყო წელიწადში 200 ლარი. დავით ლიპარტელიანის განცხადებით, წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები, რათა გაეახლებინათ საევაკუაციო გეგმები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია 2016 წელს, თუმცა ამჟამინდელ ვიზიტზე, ექსპერტის განცხადებით, 2016 წელს განახლებული საევაკუაციო გეგმები იყო მოძველებული და საჭიროებდა კვლავ განახლებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დავით ლიპარტელიანის განცხადებით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია სკოლაში შემუშავებულ უსაფრთხოების მექანიზმების დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ 2016 წელს სამინისტროსგან მიიღო შვიდ პუნქტიანი რეკომენდაცია, სკოლამ დოკუმენტში განახორციელა აღნიშნული ცვლილებები, თუმცა არ დაუბრუნებია გასწორებული დოკუმენტაცია სამინისტროსთვის და შესაბამისად, არ მიუღია თანხმობა. ექსპერტის განმარტებით, მიმდინარე წლის ვიზიტის დროს გაიგზავნა ახალი დოკუმენტაცია და დაწესებულებას ჯერ არ მიუღია პასუხი.

დავით ლიპარტელიანის განცხადებით, სკოლას დაუფიქსირდა მეორე ხარვეზი მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას. მისი თქმით, პერსონალის პირად საქმეებში არ მოიძებნებოდა ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდშივე წარადგინა გაგზავნილი მოთხოვნების დამადასტურებელი ფოტომასალა, ხოლო არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა აღნიშნული ნასამართლეობის ცნობები.

ექსპერტ, დავით ლიპარტელიანის განცხადებით, დაწესებულებას მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ ჰქონდათ აღნიშნული მასწავლებლის სტატუსები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დასაქმებულნი იყვნენ ასევე, უსტატუსო მასწავლებელებიც. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებამ განაცხადა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი და სასწავლო წლის დაწყებამდე შეძლებდა კადრების მიღებას, ხოლო იმ მასწავლებლებთან, ვინც აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები.

ექსპერტ, დავით ლიპარტელიანის განცხადებით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ხელსაწყოების განახლებასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა დიდი ფართი მესამე სართულზე, სადაც შეეძლო საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერიმენტების ჩატარება. დავით ლიპარტელიანის განცხადებით, სასწავლო წლის განმავლობაში ექსპერიმენტები ტარდებოდა საკლასო ოთახებში ან ვირტუალურ ლაბორატორიებში. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა ვიზიტის პერიოდში და დაიწყო ლაბორატორიისთვის მესამე სართულზე არსებული სივრცის მოწყობა.

ექსპერტ, დავით ლიპარტელიანის განმარტებით, სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი მოთხოვნა 280 მოსწავლეზე, თუმცა დაწესებულებას ჰქონდა 263 მერხი, შესაბამისად ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 263-ით.

ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მისი განმარტებით, სკოლას ჰქონდა წარმატებული და საინტერესო პროექტები, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა მშობელთა კომიტეტი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა დაწესებულებასთან. ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რჩევები კომიტეტის უკეთ ფუნქციონირებისთვის.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებს ნახეს თუ არა სამინისტროსგან მოწერილი წერილის პასუხი უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა უპასუხა, რომ წერილში აღნიშნული იყო თუ როგორ უნდა მოეყვანა მწყობრში სკოლას უსაფრთხოების წესები.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, იყო თუ არა მასწავლებელთა კონკურსის გამოცხადების საფუძველი, ექსპერტთა ჯგუფის მიგნებების შედეგი.
სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ეს იყო ექსპერტთა მიგნების შედეგი.
საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული იყო ექსპერიმენტების ჩატარების ადგილად საკლასო ოთახები ან მცირე ზომის ლაბორატორიები, სადაც იყო მხოლოდ ნიჟარები და არ არსებობდა გამწოვი კარადები, შესაბამისად, მას აინტერესებდა დაწესებულების მესამე სართულზე არსებული სივრცის უსაფრთხოების წესების დაცვით მოწყობის პროცესები. ია გიგიბერიას ასევე, აინტერესებდა თუ რატომ ამოიღო დაწესებულებამ მიმდინარე წლის სკოლის მისიიდან, 2016 წლის სკოლის მისიისგან განსხვავებით, „მოსწავლეებში სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესის გაღვივება“.
სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ლაბორატორიის მოწყობა მოითხოვდა დიდ სამუშაოებს, მისი განმარტებით, ექსპერიმენტები ტარდებოდა საკლასო ოთახებში. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია, მაგრამ მესამე სართული მოითხოვდა სპეციალურ მოწყობას და სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობდა სამუშოები. კერძოდ, წყლის აყვანა და ოთახის გადაკეტვის პროცესი. მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული პუნქტი ფარავდა კონკურენტუნარიოანობის ცნებას და სკოლამ გადაწყვიტა ამოეღო სკოლის მისიიდან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა განაცხადა, რომ შემაჯამებელი დავალების ფორმულირება იყო არასწორი, ისინი ძირითადად ტესტური სახით იყო წარმოდგენილი. მან ასევე აღნიშნა, რომ განმავითარებელი შეფასებები იყო არალერლევანტური და თემატური გეგმები ფორმატიდან ამოვარდნილი. შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს კამერების ყიდვის ხელმოუწერელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლას არ უფიქსირდებოდა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
სკოლის წარმომადენელმა განაცხადა, რომ არსებობდა ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს, თუ როგორ ახერხებდა დაწესებულება ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას, იმის გათვალისიწინებით, რომ სკოლაში სწავლის გადასახადი შეადგენდა წლიურად 200 ლარს.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ დაწესებულება საზრდოობდა ადგილობრივი თემის მხარდაჭერით და აღნიშნული ნათლად გამოვლინდა, ადგილზე ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა რჩევა მისცა სკოლის წარმომადგენლებს, რომ თვალი ედევნებინათ მიმდინარე სამართლებრივი რეგულაციებისთვის.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ სკოლა ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე არ ითვალისწინებდა რეკომენდაციებს.

დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, ლაბორატორიის მოწყობის მიზნით, 15 სექტემბრამდე სკოლას უნდა მოესწრო ლაბორატორიის გამართვა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადმოგზავნა ცენტრში.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენად იქნებოდა შექმნილი საგანმანათლებლო გარემო 263 მოსწავლისთვის, თუ მოხდებოდა ლაბორატორიის გაფართოება.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მესამე სართულზე თავისუფალი სივრცე, სადაც მოეწყობოდა ლაბორატორია.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საავტორიზაციო განაცხადში დაფიქსირებული ჰქონდათ 280 მოსწავლე - მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობაში. თუმცაღა ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩევდა, რომ არსებული რესურსით სკოლას 263 მოსწავლისთვის შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა. აღნიშნული გარემოება დაადასტურეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 263 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ მხარი არ დაუჭირა სკოლის ავტორიზაციის საკითხს. მისი განმარტებით, სკოლამ არ გაითვალისწინა 2016 წელს მიცემული რეკომენდაციები და არ იზრუნა მოსწავლეებისთვის კეთილმოწყობილ ლაბორატორიაზე. შესაბამისად, მოსწავლეებს ხელი არ ეწყობოდათ საბუნებისმეტყველო საგნების დაუფლების, კვლევითი უნარ- ჩვევების განვითარებისა და სამყაროს შემეცნების ინტერესისთვის.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიას (ს/კ: 244958364) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 263-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა სკოლის შესაბამის თავისუფალ სივრცეში ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. შპს ლაშარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტმა ხათუნა ბარაბაძემ და ვერა ყურულაშვილმა.

ექსპერტებმა სკოლა ლაშარში საავტორიზაციო ვიზიტი განახორციელეს 28 და 29 ივნისს ავეტიკ ისააკიანის ჩიხი N5-ში. 2022 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, 2029 წლის 1 სექტემბრამდე სკოლას იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული ჰქონდა ფართი სასწავლო მიზნებისთვის. სკოლის შენობის საერთო ფართი შეადგენდა 1093 კვ.მ-ს. ექსპერტის განცხადებით, სკოლამდე მისასვლელი გზა იყო საკმაოდ მოუწესრიგებელი, რადგან იყო ვიწრო შესასვლელი და ირგვლივ ავტოფარეხებისა და ავტოსამრეცხაოების მსგავსი დაწესებულებები ფუნქციონირებდა. ექსპერტის თქმით, სკოლას არაერთგზის ჰქონდა მიმართული ადგილობრივი თვითმმართვლეობის ორგანოებისთვის, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით მოწესრიგებულიყო აღნიშნული ტერიტორია, თუმცა სკოლას არ მიუღია უკუკავშირი. სკოლამ წარმოადგინა ამ საკითხის მოსაგვარებლად რამდენჯერმე გაგზავნილი წერილი, რომ შეზღუდვები გატარებულიყო ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით სკოლის შესასვლელში. ექსპერტებმა დამატებით გასცეს რეკომენდაცია, თუმცა ჯერ-ჯერობით უცნობი იყო პროცესის მიმდინარეობა. ექსპერტებმა მშობლებს, მათთან საუბრისას შესთავაზეს ინიციატივა, რომ მეტი ჩართულობა გამოეჩინათ სკოლის ამ საკითხისადმი. სკოლის სარგებლობაში იყო 2 სართულიანი შენობა, საერთო ფართი იყო 1200 კვ.მ. ეზოს ფართობი კი 400 კვ.მ, რომლის ნაწილი ეჭირა ღია სპორტულ მოედანს. სკოლას ჰქონდა 24 ოთახი, მათ შორის 16 საკლასო ოთახი. სკოლაში იყო 208 მერხი. სკოლის შენობაში იყო 120 კვ.მ ფართი, რომელიც სააქტო დარბაზისთვის იყო განკუთვნილი. სკოლას ჰქონდა კვების ბლოკი, თუმცა არ ფუნქციონირებდა პანდემიისგან გამოწვეული ფაქტორებიდან გამომდინარე. სკოლას ასევე ჰქონდა ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული კლასი, შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც საკმაოდ მცირე ზომის, 40 კვ.მ-ის იყო. ექსპერტების აზრით სპორტული დარბაზის ფართი არ იძლეოდა მისი სრულყოფილი გამოყენების საშუალებას, დირექციის თქმით კი, სპროტული აქტივობების ჩასატარებლად ზოგჯერ სკოლა იყენებდა სააქტო დარბაზს. სკოლას ჰქონდა ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ინვენტარი, ჭადრაკის დაფები, კალათბურთის და ფეხბურთის ბურთები, ჩოგნები და ა.შ. ექსპერტების აზრით სკოლა ცდილობდა ისეთი ტიპის აქტივობებით დაესაქმებინა მოსწავლეები, რომელიც შეესაბამებოდა არსებულ რესურსებს. ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია მომხდარიყო სააქტო დარბაზის რეორგანიზება, რათა იქ შეძლებოდათ სპორტული აქტივობების სრულფასოვნად ჩატარება. ამავდროულად სააქტო დარბაზის მიმდებარედ არსებობდა 2 ოთახი, რომლის მოწყობაც შეიძლებოდა გოგონების და ბიჭების გამოსაცვლელ ოთახად. სკოლამ მზაობა განაცხადა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე. ლაბორატორია განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე, კედლის კარადებში ინახებოდა შესაბამისი ინვენტარი და

მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენებოდა სწავლა-სწავლების პროცესში, ლაბორატორიას ოთახს ასევე ჰქონდა ფანჯრები. ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიას არ ჰქონდა გამწოვი კარადა დამონტაჟებული, თუმცა აღინიშნა ის ფაქტიც, რომ ვიზიტის პერიოდში არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ლაბორატორიაში დაემონტაჟებინა გამწოვი მექანიზმი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გამოაგზავნა, დამონტაჟებული გამწოვი მოწყობილობის დამადასტურებელი ფოტო-მასალა. ექსპერტის განცხადებით, ლაბორატორიაში რეაქტივების ძალიან მწირი რაოდენობა იყო წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ რეაქტივების შესყიდვა სათანადოდ არ ხდებოდა. შესაბამისად გახარჯვის მაჩვენებელი იმას მიანიშნებდა, რომ სკოლა ლაბორატორიაში გაკვეთილების პრაქტიკული ნაწილის ჩატარებით არ გამოირჩეოდა. ამავდროულად, არსებული რეაქტივები არ იყო შესაბამისად შენახული, არ ინახებოდა მოსწავლეებისთვის მიუწვდომელ ადგილზე. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გამოაგზავნა შესაბამისი მასალა, რომელიც მოწმობდა რომ მათ შეიძინეს რეაქტივებისთვის შესაფერისი კარადა თავისი ჩამკეტით, რომელიც განთავსდებოდა ისეთ ადგილას, რომელიც მოსწავლეებისთვის არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სახელმძღვანელოების გარეშე მოიცავდა 1430 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იყო ელექტრონული პროგრამებით, სკოლა სარგებლობდა „Open Biblio“-ს პლატფორმით. ბიბლიოთეკა განთავსებული იყო გამავალ ოთახში, ბიბლიოთეკაში შესასვლელად საჭირო იყო სამასწავლებლო ოთახის გავლა. ეს ფაქტი ექსპერტების აზრით მოსწავლეებისთვის მოუხერხებელი იყო. ბიბლიოთეკაში არ იყო გამოკრული სამუშაო საათები, თუმცა გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეები ძირითადად ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ. ბიბლიოთეკარის ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა სკოლის ექიმს. სკოლას მიეცა რჩევა ამასთან დაკავშირებით, რომ ბიბლიოთეკა გადაეტანათ შედარებით დიდ ფართში, რაც იქნებოდა მოსწავლეებისთვის ხელსაყრელი, და მოეწყობოდა სამკითხველო დარბაზიც. სტანდარტის უკეთ შესრულების მიზნით ასევე მიეცათ რეკომენდაცია, რომ აეყვანათ ცალკე ბიბლიოთეკარი და სკოლის ექიმი განთავისუფლებულიყო ამ ფუნქციისგან. სკოლამ მაშინვე გამოთქვა მზაობა და გამოაცხადა კონკურსი, რომელიც გადამოწმდა ექსპერტების მიერ. საევაკუაციო გეგმა იყო სტანდარტების შესაბამისი, თუმცა არ იყო სათანადო წესით დამოწმებული, შემუშავებული ჰქონდა კერძო ორგანიზაციას. ამ მიმართულებით სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომ მიემართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ხანძარსაწინააარმდეგო აღჭურვილობის დამონტაჟების გეგმის შესადგენად და საევაკუაციო გეგმის დასამოწმებლად. არგუმენტირებულ პოზოციაში სკოლამ გამოაცხადა მზაობა და გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, მიმართა შესაბამის სამსახურს და წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება მტკიცებულების სახით, რომელიც მიმდინარე პროცესში იყო. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლის ექიმს დაეწყო ლიცენზირების პროცესი, რადგან ის სკოლაში საქმიანობდა შესაბამისი ლიცენზიის გარეშე. სკოლში 200 მოსწავლემდე ირიცხებოდა, შესაბამისად ექთნის პოზიციაც საკმარიის იქნებოდა, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში, არსებული სკოლის ექიმის ლიცენზირება აუცილებელი იყო. სკოლამ ამ საკითხთან მიმართებითაც გამოაცხადა მზაობა და დაიწყო ლიცენზირების პროცესი. ექსპერტებმა განიხილიეს სკოლის მისიის საკითხიც. სკოლას მისიაში გათვალისწინებული ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მიღწევები და ისეთი წინაპირობების შექმნა, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემდა დაემკვიდრებინა ადგილი ერთიან ეროვნულ თუ ცივილიზებულ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში. ექსპერტების მოსაზრებით მისია არ იყო კონკრეტული და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მისია ყოფილიყო გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. მისიაში მოყვანილი ზოგიერთი დებულება არ იყო კონკრეტული და ვერ გაიზომებოდა, სკოლამ მზაობა განაცხადა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას უფლება ჰქონდა შეეტანა ცვლილებები საათობრივ ბადეში და კურიკულუმში. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მიზნით, მისიის შესრულებისთვის საათები ჰქონდა სკოლას დამატებული უცხო ენასა და მათემატიკაში. გარდა ამისა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით სავალდებულო ფარგლებში დაწესებულებას ჰქონდა შეთავაზებული ხაზვა, ფოლკლორი, მეტყველება და ჭადრაკი სხვადასხვა კლასებში. როდესაც ექსპერტებმა მოიკითხეს შესაბმისი მტკიცებულება იმისა, რომ შეთანხმებული იყო ეს საკითხი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრისთან, აღმოჩნდა რომ სკოლას ისე ჰქონდა დაწყებული სასწავლო პროცესი, რომ ეს პროცედურები არ ჰქონდა განხორციელებული. სკოლა მიმდინარე წლის აპრილის თვიდან ჩაერთო ახალი სკოლის მოდელის განმავითარებელ ღონისძიებებში. ამასთან დაკავშირებით სკოლაში გაიგზავნა კონსულტანტი, მისი მეშვეობით კი ცნობილი გახდა მათთვის, რომ ეს დღის წესრიგი აუცილებლად შეთანხმებული უნდა ყოფილიყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. 18 აპრილს მოხდა სკოლის მხრიდან წერილის გაგზავნა, ხოლო 27 მაისს მოსული იყო თანხმობის წერილი, მაშინ როდესაც 15 ივნისს უკვე სასწავლო პროცესი სრულდებოდა. ვინაიდან უკვე არსებობდა ეს დოკუმენტი, ექსპერტებმა არ მიიჩნიეს ხარვეზად, თუმცა გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. ექსპერტის განცხადებით, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, სკოლა აზუსტებდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ხოლო რიგ შემთხვევებში პირდაპირ კოპირებული იყო და არ იძლეოდა დაზუსტების საშუალებას. დასაზუსტებელი იყო საგნის სემესტრული ქულის შემაგდენელი კომპონენტები და მიმდინარე სემესტრული გამოცდები. არ იყო დაზუსტებული მაგალითისთვის კლასებისა და საგნების შესაბამისობა. ბევრი საკითხი უშუალოდ ეროვნული სასწავლო გეგმიდან იყო კოპირებული. მაგალითისთვის მუხლი 12, მუხლი 27 და ა.შ. სხვადასხვა უზუსტობებთან დაკავშირებით სტანდარტის უკეთ შესრულების მხრივ სკოლას მიეცა რეკომენდაციები და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ წარმოადგინა ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც 29 ივლისის V სხდომაზე იყო დამტკიცებული. ექსპერტის თქმით, სკოლა პირველ კლასში ატარებდა 40 წუთიან გაკვეთილებს, ამის თაობაზეც სკოლას მიეცა რჩევა, მოზარდების ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით პირველ კლასში 35 წუთამდე შეემცრებინათ საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა, ისე როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით იყო რეკომენდირებული. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ საკითხის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, სკოლას არ ჰყავდა ფსიქოლოგი და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა გამოცხადებული კონკურსი, პროცესი დასრულდებოდა 31 აგვისტოს. ექსპერტმა ასევე, აღნიშნა, რომ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით კლასებში განსაზღვრული იყო შემაჯემებლი სამუშაოების ჩატარება, რომელიც ფასდებოდა განმავითარებელი შეფასებით, თუმცა სკოლას არ ჰქონდა ნაწარმოები შემაჯამებელი დავალებები დაწყებით კლასებში და ეს დოკუმენტები სკოლამ ვერ წარმოადგინა. თუმცა სკოლამ წარმოადგინა პროექტები და მცირე კომპლექსური დავალებები, რომლითაც დაწყებული ჰქონდა სკოლას ამ საკითხებზე მუშაობა. ექსპერტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ თითოულ საგანში გაკეთებული იყო კომპლექსური დავალება, შემაჯამებელი დავალება წარმოდგენილი იყო ტესტური სახით. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ შემაჯამებელი დავალებები ყოფილიყო ანალიზის ფორმატში წარმოდგენილი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული, მოსწავლის თითოეული საჭიროება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და ტენდენციები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს საკითხი სკოლის მხრიდან იყო გაზიარებული და მზაობა გამოითქვა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გაითვალისწინებდნენ. მითუფრო ამ საკითხებში დასახმარებლად სკოლას ჰყავდა კონსულტანტი ახალი სკოლის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, სკოლაში მიმდინარეობდა სისტემატური გამოკითხვები, მოსწავლეების, მათი მშობლებისა და მასწავლებლების. სკოლა ცდილობდა დროულად მიჰყოლოდა მოსწავლეებისა თუ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მოთხოვნებს და

ხარისხის განვითარების მიზნით შეეცვალა გარკვეული საკითხები. მოსწავლეებთან გასაუბრების დროსაც აღინიშნა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო მოსწავლეზე, რათა მათთვის კომფორტული ყოფილიყო სწავლა-სწავლების პროცესი. ექსპერტების აზრით სკოლაში იყო უსაფრთხო გარემო. რაც შეეხეოდა მესამე სტანდარტს, ექსპერტების მხრიდან აღნიშნულის შეფასების პროცესში დაფიქსირდა ხარვეზები. სკოლაში მუშაობდა 37 პედაგოგი, მოწვეული და მაძიებელი მასწავლებელი იყო 7/3 შესაბამისი თანაფარდობით. სკოლას ჰყავდა უსტატუსო მასწავლებლებიც, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები არ ჰყავდათ. ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მასწავლებლების დასაქმების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, აღმოჩდნა რომ რამდენიმე მასწავლებელი არ იყო კონკურსის წესით დასაქმებული 174/ნ ბრძანების მიხედვით, თუმცა ვიზიტის პერიოდში მყისიერად მოხდა რეაგირება, გამოცხადდა ყველა თანამდებობაზე ვაკანსია, რაც დადასტურდა შემდგომი დოკუმენტაციითაც. ექსპერტის თქმით, შეუსაბამობა დაფიქსირდა ასევე, მოწვეული მასწავლებლების საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით. მასწავლებლებთან გაფორმებული იყო 1 წლიანი ხელშეკრულებები 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე. 6 მასწვალებელი მიღებული იყო 2022 წლის იანვრიდან. მაძიებელ და უფროს მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა კონკრეტული სტატუსის ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს, 7 მოწვეული მასწავლებლიდან 3-თან ხელშეკრულება გაფორმებული იყო კანონმდებობის დარღვევით. შეფასების შედეგად გამოირკვა, რომ ერთ-ერთი მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეაგდენდა 12 საათს, მეორესი - 15-ს, ხოლო მესამესი 19-ს. ექსპერტის განმარტებით, ეს ფაქტი გამოსწორებას ვეღარ დაექვემდებარებოდა, ვინაიდან ეს პერიოდი უკვე გავლილი იყო და 2022 წლის სასწავლო პერიოდში აღნიშნულმა მასწავლებლებმა ამ დატვირთვით იმუშავეს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა არ უნდა ყოფილიყო 9 საათზე მეტი. ასევე რჩევა, რომ გაწერილიყო თანამშრომელთა პოფესიული განვითარების წესი და მიზანმიმართულად განხორციელებულიყო პროფესიული განვითარების აქტივობების დანერგვა. ექსპერტების თქმით, შეფასების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება. ექსპერტის თქმით, სკოლამ დინამიურად გაითვალისწინა მიღებული რეკომენდაიცები. წარმოდგენილი მიგნებების მიუხედავად სკოლაში ნამდვილად იგრძნობოდა სამუშაო გარემო, ყველა მასწავლებელი იყო ჩართული პროცესში და მათი თანამშრომლობა ტოვებდა ერთიანობის განცდას და მოსწავლეზე ორიენტირებულობას.

საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის კუთხით, სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურზე მხოლოდ 1 საათი ჰქონდა გამოყოფილი, რაც მისი აზრით ძალიან ცოტა იყო. თუმცა ექსპერტების თქმით ეს საათობრივი ბადე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან იყო შეთანხმებული. საბჭოს წევრმა გამოკვეთა მეორე საკითხიც, რაც ეხებოდა სკოლის ვებ-გვერდზე მოსწავლეების რეიტინგების განთავსებას, სადაც წარმოდგენილი იყო მათი ქულები საგნების მიხედვით. კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ წარმოადგენდა აღნიშნული ფაქტი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას. ექსპერტების თქმით სკოლას ჰქონდა თანხმობა მშობლების მხრიდან და ეს წარმოდგენილი იყო ხელშეკრულებაშიც და ასევე, მშობლებს გასაუბრებისას ამასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ გამოთქვა ინტერესი ლაბორატორიაში დამონტაჟებული გამწოვის შესაბამისობაზე დადგენილ მოთხოვნებთან. სკოლის წარმომადგენელმა განახცადა, რომ გამწოვის დამონტაჟებასთან დაკავშირებით გამოიყენა ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ფართის სიდიდის და გამწოვის შესაბამისობა. სკოლის წარმომადგენელი ასევე შეეხო სხვა გამოთქმულ კითხვებსა და რეკომენდაციებს, გამოთქვა მზაობა ყველა საკითხის გათვალისწინებასთან მიმართებით, რაც ამ დრომდე არ იყო უკვე სკოლის მიერ გამოსწორებული. წარმომადგენელმა აღნიშნა სპორტულ აქტივობასთან დაკავშირებით, რომ სკოლა სხვადასხვა აქტივობას შაბათობით ატარებდა და აკომპენსირებდა სპორტულ საათებს

და უზურნველყოფდა ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას მოზარდებში. მოსწავლეების რეიტინგულ ქულებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ბოლო პერიოდში თავს იკავებდა კონკრეტული მასალების გამოქვეყნებისგან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლის თქმით სარეიტინგო ქულებს სკოლა ბოლო პერიოდში არ დებდა ვებ გვერდზე და ის დაინტერესდა, აღნიშნული ხომ არ მიანიშნებდა იმ გარემოებაზე, რომ ვებ გვერდი არ ახლდებოდა და ახალი ინფორმაციის განთავსების ნაკლებობას განიცდიდა. ექსპერტების თქმით, ვებ-გვერდის შემოწმებისას მათ ნამდვილად შენიშნეს ინფორმაციის განახლების ფაქტები, ხოლო ამ საკითხთან მიმართებით სხვა დამატებით კომენტარს ვერ გააკეთებდნენ.
სკოლის წარმომადგენლმა დამატებით აღნიშნა, რომ რეავტორიზაციის პროცესი იყო თანამშრომლობითი და დამხმარე ძალას წარმოადგენდა სკოლისთვის ექსპერტთ მიერ გამოვლენილი გარემოებები, გაცემული რეკომენდაციები და რჩევები.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლაშარის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ლაშარს (ს/კ: 209454142) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული და საბჭოს სხდომის ზეპირ განხილვაზე განხილული ყველა საკითხის გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაცია. ასევე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია მომდევნო სასწავლი წლის პირველი სემესტრის ბოლოს ცენტრში გადმოეგზავნა საგნების შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, რაც სრულ წარმოდგენას შექმნიდა მათ განხორციელებულ და განსახორციელებლ სამუშაოებზე.

5. შპს აისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და თეონა ყაჭეიშვილმა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ვიზიტი ექსპერტებმა განახორციელეს 2022 წლის 4 და 5 ივლისს. დაწესებულება 2000 წელს დაფუძნდა ქალაქ თბილისში, ის ფუნქციონირებდა სხვა მისამართზე, კერძოდ ქავთარაძის ქუჩაზე 2021 წლის სექტემბრამდე. 2021 წლის სექტემბერში შეიცვაალეს ადგილმდებარეობა და გადავიდნენ სოფელ დიღომში, დიდი დიღმის დასახლების ტერიტორიაზე, დავარის ქუჩა N64-ში. შპს აისი-ს შენობა აშენდა სპეციალურად სკოლისთვის და აკმაყოფილებდა ყველა პარამეტრს, რაც სკოლას უნდა ჰქონოდა. სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, ყველა ტიპის საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. სკოლაში მდებარე არცერთ ოთახს არ გააჩნდა ზღურბლი შესასვლელში, საკმაოდ მაღალ დონაზე იყო აყვანილი უსაფრთხოების ნორმები და სახანძრო სისტემები. სახანძრო ჰიდრანტები განთავსებული იყო სკოლის შენობაში და სკოლის გარეთ. სკოლას ჰყავდა ერთი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, ამ მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტები იყო საკმაოდ მაღალი ხარისხის. მნიშვნელოვანი იყო ასევე, ის გარემოება, რომ მისი ინდივიდუალური რეჟიმი იყო თავისი კლასელების მსგავსი. ექსპერტის განმარტებით, საგნობრივ პროგრამებში არ ფიქსირდებოდა ხარვეზი, შეფასების შედეგად დაფიქსირდა რამდენიმე რეკომენდაცია. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას ჰქონდა დამატებითი მომსახურეობა, განსაკუთრებით გაძლიერებული იყო უცხო ენების შესწავლა. სკოლაში ისწავლებოდა 5-6 უცხოური ენა. სკოლაში დაწყებული იყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. ექსპერტების მხრიდნ აქაც გაიცა რეკოემნდაციები, რომ ეს პროცესი მეტად აქტიურად წარმართულიყო. ექსპერტებმა იხილეს რამდენიმე კათედრის მიერ მოწოდებული მატრიცები და დოკუმენტები და გასცეს რეკომენდაცია, რომ ყველა კათედრა უნდა ყოფილიყო ამ პროცესში ჩართული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გადმოაგზავნა საჩვენებელი მატრიცები. მატერიალური რესურსის ჭრილში დაფიქსირდა ერთი ხარვეზი. კამერები იყო დაფიქსირებული უშუალოდ სკოლის შენობის შესასვლელში და ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სკოლის მთავარი შესასვლელი იყო ის შესასვლელი რომელიც სკოლის შიდა პერიმეტრს გამოყოფდა სავალი გზის ნაწილიდან. ეს იყო ის ჭიშკარი და ეზოს გალავანი, რომელიც მდებარეობდა გზის პერიმეტრთან. ექსპერტებმა მისცეს დაწესებულებას რეკომენდაცია, რომ მაღალი პიქსელის მქონე კამერა უნდა დამონტაჟებული სკოლის შესასვლელში. დამონტაჟდა ორი დამატებითი კამერა, თუმცა იმ მომენტში ჭიშკარის მარცხენა მხარეს არ იყო იმხელა გალავანი, რომ კამერა დამონტაჟებულიყო. აქედან გამომდინარე ორივე კამერა დამონტაჟდა ჭიშკრის მარჯვენა მხარეს, რომელიც ფაქტობრივად ერთი მიმართულებით აკონტროლებდა გზას. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ გადმოაგზავნა ფოტო-მასალა, სადაც ასახული იყო, რომ დამონტაჟდა სპეციალური სვეტი ჭიშკრის მარცხენა მხარეს და მეორე კამერა დამონტაჟდა ამ სვეტზე. შესაბამისად, გზის სავალი ნაწილი ურთიერთმკვეთი მიმართულებით სრული პერიმეტრით კონტროლდებოდა. შესაბამისად, ექპსერტები მიიჩნევდნენ რომ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოიფხვრა. ექიმის კაბინეტთან

დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კაბინეტში არ იყო ინვენტარი სრულად შესაბამისობაში ახალ მოქმედ წესთან. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე შეიძინა დანაკლისი ინვენტარი და წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა იმ სამ კვალიფიკაციას, რომელიც მარეგულირებელ წესში იყო ჩამოთვლილი. შესაბამისად, სკოლამ გამოაცხადა კონკურსი, ჩართო რესურს-ცენტრის წარმომადგენელი და სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ბაზაში ასახული ექიმის ახალი კანდიდატურა წარმოადგინა. ექსპერტების თქმით სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და მათი შეფასებით, დადგენილი ხარვეზიც აღმოფხვრა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ გამოთქვა აზრი სკოლის ვებ გვერდთან დაკავშირებით, რომ ერთი შეხედვით არ ტოვებდა სკოლის პროცესის მიმდინარეობის ასახვის შთაბეჭდილებას. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ამასთან დაკავშირბით მათ ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია გასცეს. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ საკითხთან მიმართებით მიმდინარეობდა სამუშაოები და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტებისა და საბჭოს წევრების მოსაზრებებს.
საბჭოს თავმჯდომარეს, დავით მალაზონიას გაუჩნდა კითხვა ეკუთვნოდა თუ არა შენობა თავად სკოლას. ექსპერტების თქმით, სკოლის ფართს ფლობდა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობა მათივე დაკვეთით აშენდა და ის კომპანია, რომელთანაც იჯარის ხელშეკრულება იყო გაფორმებული „შპს აისის“ შვილობილი კომპანია იყო.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა იკითხა სკოლაში მოსწავლეების მიღების წესის შესახებ და იმის შესახებ თუ ირიცხებოდნენ სკოლაში არაქართულენოვანი მოსწავლეები. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათ შერჩევითობის პრინციპით შეისწავლეს მოსწავლეების პირადი საქმეები და მათ სკოლის წარმომადენელთან ერთად დაადასტურეს, რომ სკოლაში არაქართულენოვანი მოსწავლე არ ირიცხებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 190 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 190 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს აისს (ს/კ: 204951481) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 190-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

6. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და ირმა ხუციშვილმა. ექსპერტებმა დაწესებულების წარდგენა დაიწყეს საუკეთესო პრაქტიკის წარგდენით, სკოლამ ძალიან კარგი მაგალითი აჩვენა თანამშრომლობის, კათედრების მუშაობის და სტრუქტურირებული დოკუმენტების წარმოების კუთხით. კათედრების ყველა დოკუმენტი იყო გაციფრულებული და მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი. სკოლას 460 მოსწავლეზე ჰქონდა განაცხადი გაკეთებული. სკოლას ჰქონდა ჯამში 4 შენობა. 2 შენობა მდებარეობდა ქ. თბილისში, ონიაშვილის ქუჩაზე, რომლებიც ფუნქციონირებდა დაწყებითი კლასებისთვის, მეორე ორი შენობა კი მდებარეობდა კანდელაკის ქუჩაზე. კანდელაკზე მდებარე მეორე შენობაში, რომელშიც სექტემბრიდან უნდა დაწყებულიყო სწავლება დაფიქსირდა ერთგვარი პრობლემა. კერძოდ, გათბობის ქვაბი მდებარეობდა შენობის შიგნით. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია და დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა კომენტარი, რომ 10 აგვსიტომდე მოხდებოდა გათბობის ქვაბის გარეთ გატანა. ოთხივე შენობა იყო იჯარით აღებული და ხელშეკრულებას 2028 წლის ზაფხულამდე ჰქონდა ვადა. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებები იყო წარმოდგენილი, რაც შეთანხმებული იყო განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტერგირებას სასწავლო პროცესში. საათობრივი ბადეც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და უცხო ენებზე იყო ორიენტირებული. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი არაფორმალური განათლების მიმართულებით. ექსპერტის განცხადებით, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით სიანტერესო იყო ისიც, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა საცურაო აუზი. სპორტის გაკვეთილებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჰქონოდათ ცურვის გაკვეთილები. ექსპერტების აზრით ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ, სკოლის 5 მასწავლებელი იყო ქოუჩი ახალი სკოლის მოდელის მიმართულებთ. შესაბამისად, სკოლა საკამოდ აქტიურად და ინტენსიურად მუშაობდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაზე. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ყველა რეკომენდაციაზე, რომელსაც ექსპერტები გასცემდნენ, რეალურად ჰქონდა გააზრებული თანხმობა. სკოლის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და ყველა მასწავლებლის პორტფოლიოში იყო საგნობრივი პროგრამები, თემატური მატრიცები, რომელთაგანაც ყველა იყო შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. რაც შეეხებოდა სკოლაში არსებულ კლუბებს, იყო „ლეგო ედუქეიშენ“, „ჟურნალისტთა კლუბი“ და „ნორჩ ქიმიკოსკთა კლუბი“, სადაც მოსწავლეები აქტიურად მუშაოდბნენ და საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო მოსწავლეების ამ მიმართულებით ჩართული. სკოლის თანამშრომლები ძალიან ბევრს მუშაობდნენ მოსწავლეების ფსიქო-ემოციურ მდგრადობაზე. სკოლაში იყო ფსიქოლოგი, რომელიც აკვირდებოდა სასკოლო კლიმატს და იყო

ფსიქოლოგიის წრეც, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ ესაუბრათ და ესმჯელათ პრობლემებზე, რომელიც მთლიანად კლასში თუ სკოლაში იყო. ყველა სტანდარტი დაცული იყო უსაფრთოხების თვალსაზრისით და შეთანხმებული იყო სამინისტროსთან. რეკომენდაცია გაიცა სკოლის ექიმთან დაკავშირებით. რადგან 4 შენობა იყო და 2 სხვადასხვა ლოკაცია, რეკომენდაცია იყო მიცემული, რომ ყოფილიყო 2 ექიმი, მიუხედავად იმისა, რომ 500 მოსწავლეზე 1 ექიმი საკმარისი იყო. არგუმენტირებული პოზიციის გამოგზავნისას ექსპერტებმა ნახეს, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი და აყვანილი ჰყავდა ექიმი, რომელიც აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურ და საბუნემისმეტყველო საგნებზე იყო სკოლა ორიენტირებული, ჰყავდა 2 ქოუჩი ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით, შესაბამისად ამ თვალსაზრისითაც იყო საკმაოდ საინტერესო პროექტები.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ იკითხა სკოლის მიღწევები მათემატიკის მიმართულებით. სკოლის წარმომადგენელმა, ირაკლი მანელიძემ განაცხადა რომ 2022 წელს სკოლა გავიდა პირველ ადგილზე, იმ მიმართებით, რომ კომაროვში მათგან ყველაზე მეტი მოსწავლე გადავიდა, რაც ირიბად დადებითი შედეგი იყო მისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 460 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის არქიმედეს სკოლას (ს/კ: 405101562) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა